

ი/მ მირზა ცირეკიძის
(ს/კ41001017134)

სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 26 იანვრის N21/392 წერილის შესაბამისად წარმოდგენთ ქ. ქუთაისის ახალგაზრდობის გამზირის ქ. N19ა-ში (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 03.06.25.176) განთავსებული ი/მ მირზა ცირეკიძის (ს/კ41001017134) ქვის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს შენიშვნების გათვალისწინებით.

აღნიშნული ხარვეზის წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც სკრინინგის ანგარიშით, ასევე პუნქტობრივად:

1. წერილის პირველი პუნქტის შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მე-3 თავის თანახმად, საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი შენობის საერთო ფართობი

პასუხი: სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიის და შენობის ფართის შესახებ მოწოდებულია შენობის საპროექტო დოკუმენტაციიდან- შენობა ორ სართულიანია და მისი სასარგებლო ფართი შეადგენს 3 069,93 კვ.მ.-ს, აქედან სარდაფი არის 1327,36 კვ.მ.-ი, შენობის პირველი სართული-1331,36კვ.მ-ია, (პირველი სართულის შიდა სივრცე ერთიანია, იგი პირობითად დაყოფილია ნედლეულის მომარაგების, პროდუქციის დასაწყობებისა და ტექნოლოგიურ უბნებად) და მეორე სართული -411,21 კვ.მ.-ია საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 1375კვ.მ-ს. (იხ, დანართი შიდა აზომვითი ნახაზი, ამონაწერი რეესტრიდან).

2. სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო შენობის სარდაფში მოწყობილია ორ განყოფილებიანი მექანიკური სალექარი, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 11 946.24 მ-ს, ხოლო პარამეტრებია: სიგრძე 44.2 მ, სიგანე 30 მ, ხოლო სიმაღლე 9 მ, როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული, თითოეული განყოფილების მოცულობა არის 5 973.12 მ დოკუმენტში მოცემული პარამეტრების გათვალისწინებით, სალექარის მოცულობა იქნება ჯამურად 11 934მ შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები შეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი: აღნიშნულ შენობას აქვს სარდაფი ზეპირკვლის დონეზე. სარდაფის კედლები არის ბეტონის და მისი ფართობი შეადგენს 1327,36 კვ.მ-ს. სარდაფი ორგანყოფილებიანია და ასრულებს მექანიკური სალექარის ფუნქციას. სალექარის მოცულობა არის 11 946,24 კუბ.მ (სიგრძე 44,2მ x სიგანე 30,031მ x სიმაღლე 9 მ). თითოეული განყოფილების მოცულობა არის 5 973,12 კუბ.მ.

3. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გენგემა, სადაც დატანილი იქნება საწარმოს ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ელემენტები;

პასუხი: იხ. გენ-გემა

4. სკრინინგის განცხადების მე-3 თავში (გვ. 8) აღნიშნულია, რომ ყბებიან სამსხვრევს არ გააჩნია მიმღები ბუნკერი. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე, შენობის გარეთ განთავსებულია ქვის მშრალი დამუშავების სამსხვრევი დანადგარი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბუნკერი.

პასუხი: საწარმოს ფუნქციონირებისას (ქვის ხერხვის დროს) წარმოემქნება - ტემენიტის (სველი) მეთოდით ხერხვის შედეგად დარჩენილი ქვის ნატეხები, რომლის მსხვრევა დახარისხება დაგეგმილია სამსხვევ დაანადგარში - ყბებიან სამსხვრეველაში. აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ დამონტაჟებული აქვს ყბებიანი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი. მსხვრევა განხორციელდება მშრალი მეთოდით.

ქვის სველი ხერხვის დროს წარმოემქნის ნატეხები საწყობდება შენობის გარეთ, ღია საწყობზე. საიდანაც (ნარჩენი - ქვის ნატეხები) ყბებიან სამსხვრევს მიეწოდება ხელის ნიჩბის საშუალებით ან მუშა პერსონალის მიერ ხელით. ყბებიან სამსხვრევს არ გააჩნია მიმღები ბუნკერი, სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის დახარისხება სამ ფრაქციად (06მმ, 0-10მმ, 0-15მმ). ცხაურიდან ჩამოყრილი შესაბამისი ფრაქციის ღორღი ხელის ნიჩბით იყრება ტომრებში და საწყობდება სათავსოში რეალიზაციამდე. (იხ. სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური დანადგარების ფოტო მასლა)

5. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, (გვ. 11) აღნიშნულია, რომ „საწარმოს წელიწადში გათვალისწინებული აქვს 2 000 ტ (1 250 მ) ინერტული მასალის წარმოება. აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის დასამზადებლად საწარმოს წელიწადში ესაჭიროება 2 000 ტ ტემენიტის ქვის ნატეხები. სამსხვრევი დანადგარის საპროექტო წარმადობა შეადგენს 20 მ³/სთ-ს, წელიწადში საწარმოს სამუშაო რეჟიმის (240 დღე, დღეში 8 სთ) გათვალისწინებით შეუძლია დაახლოებით 38 400 მ³/წელ (107 520 ტ/წელ) ქვის ნარჩენის მსხვრევა და სამი სახეობის (0-6 მმ, 0-10 მმ, 0-15 მმ) ფრაქციის ქვიშა-ხრემის წარმოება. ფაქტობრივად საწარმო წელიწადში გადაამუშავებს მხოლოდ 3000 მ (0-6 მმ, 0-10 მმ, 0-15 მმ) ტემენიტის ქვის ნარჩენს (8 400 ტ).“ აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი: საწარმოს წელიწადში გათვალისწინებული აქვს 2000ტ ტემენიტის ქვის ნატეხების გადამუშავება და სამი სახეობის (0-6 მმ, 0-10 მმ, 0-15 მმ) ფრაქციის ქვიშა-ხრემის წარმოება. საწარმო წელიწადში მუშაობს 240 დღე, 8 სთ-იანი გრაფიკით. საამქროში დასაქმებულია სამი ადამიანი (კაცი). აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის დასამზადებლად საწარმოს წელიწადში ესაჭიროება ნედლეული - 2 000ტ რაოდენობის ტემენიტის ქვის ნატეხები - ნარჩენი.

სამსხვრევი დანადგარის საპროექტო წარმადობა შეადგენს 20მ³/სთ-ში, წელიწადში საწარმოს სამუშაო ფონდის გათვალისწინებით (დღეში 8 საათიანი და წელიწადში 240 დღიანი სამუშაო რეჟიმით) შეუძლია დაახლოებით 38 400 მ³/წელ (107 520ტ/წელ) ქვის ნარჩენის დამსხვრევა და სამი სახეობის (06მმ, 0-10მმ, 0-15მმ) ფრაქციის ქვიშა-ხრემის წარმოება.

ფაქტიურად საწარმო წელიწადში გადაამუშავებს მხოლოდ 2000ტ ტემენიტის ქვის ნარჩენს.
(გვ. 8)

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყალი ტექნოლოგიურ პროცესში გამოიყენება მხოლოდ ქვის ხერხვა-გაპრიალების მიზნით, რისთვისაც წყალაღება ხდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან. ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგების მიხედვით, ქვის ხერხვა-გაპრიალებისთვის საწარმო იყენებს წვიმის წყალს. ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას;

პასუხი: საწარმოში წყლის მოხმარება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. მოხმარებული წყლის შეკრება ხდება საამქროში არსებული არხებით და მიეწოდება საწარმოო შენობის სარდაფში მოწყობილ ორგანყოფილებიან სალექარს, საიდანაც წყალი ტუმბოს საშუალებით ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში (ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემით). რაც შეეხება წვიმის წყლის გამოყენების საკითხს, საწარმოო შენობაზე სახურავიდან წვიმის წყლის წყალმიღები მილები იმგვარადაა მოწყობილი, რომ წვიმის დროს წყალი ჩაედინება შენობის სარდაფი ზეპირკვლის დონეზე არსებულ სალექარში. საწარმოში მოქმედებს წყლის ბრუნვითი სისტემა. საწარმო ძირითადად იყენებს ცენტრალური წყალმომარაგების წყალს.

7. ცხრილი N1-ში და მე-3 თავში მითითებულია ტუშენიტის ქვის ნარჩენების სხვადასხვა რაოდენობის მაჩვენებლები, რაც საჭიროებს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;

პასუხი: იხ. სკრინინგის ცხრ. N1, თავი N3

8. დაზუსტებას საჭიროებს 511-515 გამოყოფის წყაროების სამუშაო დროის მნიშვნელობები წელიწადში;

პასუხი: ფილების გაპრიალებისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა (გამყოფის N511- N515

წყაროები) იანგარიშება შემდეგი პირობებით:

ერთ საპრიალებელ დანადგარზე წელიწადში განხორციელდება 1 000 მ² ფილის გაპრიალება,

რა დროსაც გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება

$$G=0,001 \times 1000 \times 2,8 \times 0,01=0,028\text{ტ/წელ}$$

მტვრის წამური ინტენსიობა იქნება

$$M=0,028 \times 10^6 / 240 \times 8 \times 3600=0,00405\text{გ/წელ}$$

გამყოფის წყაროების სამუშაო დროის მნიშვნელობა არის წელიწადში 1920 სთ.

9. მტვრის გაფრქვევის ანგარიში ჩატარებულია თერმული დამუშავებიდან (517 გამოყოფის წყარო), რომელსაც საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესთან არანაირი კავშირი არ აქვს;

პასუხი: საწარმოში ქვის ჩამოსაგან დანადგარებზე სველი მეთოდით მიმდინარეობს ფილებისა და ბლოკების ამოხერხვა გაპრიალება ხდება საპრიალებელ დაზგებზე და ბოლოს მათი ზედაპირების თერმული დამუშავება, რაც ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილია. ფილების ზედაპირების თერმული დამუშავებისათვის გამოიყენება ბუნებრივი აირი, რისთვისაც გამოიყენება ბუნებრივი აირის წვით სახურებელი დანადგარი. აღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების მიზნით ჩატარებული იქნა გაანგარიშება.

10. არ არის გაანგარიშებული მტვრის ყველა გამოყოფის და გაფრქვევის წყარო ტემენიტის ქვის ნარჩენების გადამუშავებისას, კერძოდ: ნედლეულის (ტემენიტის ქვის ნარჩენების) მიღება - დასაწყობებისას, მიღებული მზა პროდუქციის საწყობიდან და დაფასოების უბნიდან და ყბებიანი სამსხვრევის ბუნკერიდან. ამასთან, არასწორია მტვრის გაფრქვევის ანგარიში ყბებიანი სამსხვრევიდან (517 გამოყოფის წყარო);

პასუხი : საწარმოში ტემენიტის ქვის სველი მეთოდიტ ხერხვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები - ტემენიტის ქვის ნატეხები, შენობიდან გაიტანება გარეთ ღია საწყობზე მუშა ხელის მიერ, ხელის ურიკით. საიდანაც (ნარჩენი - ქვის ნატეხები) ყბებიან სამსხვრევს მიეწოდება ხელის ნიჩბის საშუალებით. (ყბებიან სამსხვრევს არ გააჩნია მიმღები ბუნკერი) სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მზრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის დახარისხება სამ ფრაქციად (06მმ, 0-10მმ, 0-15მმ). ცხაურიდან ჩამოყრილი შესაბამისი ფრაქციის ღორღი ხელის ნიჩბით იყრება ტომრებში და ტომრებით საწყობდება სათავსოში რეალიზაციამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე გაფრქვევის ანგარიში ჩატარებულია ღია საწყობიდან, ყბებიანი სამსხვრევიდან და დაფასოების უბნიდან. იხ. სკრინინგის ანგარიში გვ16-17.

11. მე-5 და მე-9 თავებში წარმოდგენილი მითითებები არასწორია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო აღრიცხვის თაობაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

პასუხი: მუხლი 4¹. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც არ ექვემდებარება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობებისთვის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიში არ წარმოებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი ხორციელდება ერთ საწარმოო ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ სხვა საქმიანობებთან ერთობლივად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ბ) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობასთან ერთად ხორციელდება იგივე საქმიანობები მშრალი მეთოდით:

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,
ი/მ მირზა ცირევიძე (ს/კ 1001017134)

02.02.2023 წელი



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აგმაშენებლის ბაზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/392
26/01/2023

392-21-2-202301261158



ი/მ მირზა ცირეკიძეს

მის: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის ქ. №19ა

ელ. ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №337 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის ქ. №19ა-ში სასარგებლო წიაღისეულის (ტუმენიტის ქვის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მე-3 თავის თანახმად, საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 1375 მ²-ს. ტექნოლოგიური პროცესები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 3 069.93 მ²-ს. შენობა არის ორსართულიანი და აქვს სარდაფი. შენობის პირველი სართულის ფართობია 1 331.36 მ², ხოლო შენობის სარდაფის - 1 327.36 მ². აღნიშნული ჩანაწერი გაურკვეველია და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების მიხედვით, ტერიტორიაზე განთავსებულია ერთსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო შენობის სარდაფში მოწყობილია ორგანოფილებიანი მექანიკური სალექარი, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 11 946.24 მ³-ს, ხოლო პარამეტრებია: სიგრძე 44.2 მ, სიგანე 30 მ, ხოლო სიმაღლე 9 მ. როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული, თითოეული განყოფილების მოცულობა არის 5 973.12 მ³. დოკუმენტში მოცემული პარამეტრების გათვალისწინებით, სალექარის მოცულობა იქნება ჯამურად 11 934 მ³. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები შეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გენგეგმა, სადაც დატანილი იქნება საწარმოს ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ელემენტები;
- სკრინინგის განცხადების მე-3 თავში (გვ. 8) აღნიშნულია, რომ ყებებიან სამსხვრევს არ გააჩნია მიმღები ბუნკერი. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე, შენობის გარეთ განთავსებულია ქვის მშრალი

დამუშავების სამსხვრევი დანადგარი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბუნკერი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, (გვ. 11) აღნიშნულია, რომ „საწარმოს წელიწადში გათვალისწინებული აქვს 2 000 ტ (1 250 მ³) ინერტული მასალის წარმოება. აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის დასამზადებლად საწარმოს წელიწადში ესაჭიროება 2 000 ტ ტემენიტის ქვის ნატეხები. სამსხვრევი დანადგარის საპროექტო წარმადობა შეადგენს 20 მ³/სთ-ს, წელიწადში საწარმოს სამუშაო რეჟიმის (240 დღე, დღეში 8 სთ) გათვალისწინებით შეუძლია დაახლოებით 38 400 მ³/წელ (107 520 ტ/წელ) ქვის ნარჩენის მსხვრევა და სამი სახეობის (0-6 მმ, 0-10 მმ, 0-15 მმ) ფრაქციის ქვიშა-ხრემის წარმოება. ფაქტობრივად საწარმო წელიწადში გადაამუშავებს მხოლოდ 3 000 მ³ (0-6 მმ, 0-10 მმ, 0-15 მმ) ტემენიტის ქვის ნარჩენს (8 400 ტ).“ აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყალი ტექნოლოგიურ პროცესში გამოიყენება მხოლოდ ქვის ხერხვა-გაპრიალების მიზნით, რისთვისაც წყალაღება ხდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან. ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგების მიხედვით, ქვის ხერხვა-გაპრიალებისთვის საწარმო იყენებს წვიმის წყალს. ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას;
- ცხრილი N1-ში და მე-3 თავში მითითებულია ტემენიტის ქვის ნარჩენების სხვადასხვა რაოდენობის მაჩვენებლები, რაც საჭიროებს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;
- დაზუსტებას საჭიროებს 511-515 გამოყოფის წყაროების სამუშაო დროის მნიშვნელობები წელიწადში;
- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ჩატარებულია თერმული დამუშავებიდან (517 გამოყოფის წყარო), რომელსაც საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესთან არანაირი კავშირი არ აქვს;
- არ არის გაანგარიშებული მტვრის ყველა გამოყოფის და გაფრქვევის წყარო ტემენიტის ქვის ნარჩენების გადამუშავებისას, კერძოდ: ნედლეულის (ტემენიტის ქვის ნარჩენების) მიღება - დასაწყობებისას, მიღებული მზა პროდუქციის საწყობიდან და დაფასოების უბნიდან და ყბებიანი სამსხვრევის ბუნკერიდან. ამასთან, არასწორია მტვრის გაფრქვევის ანგარიში ყბებიანი სამსხვრევიდან (517 გამოყოფის წყარო);
- მე-5 და მე-9 თავებში წარმოდგენილი მითითებები არასწორია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის თაობაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.



თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ი/მ მირზა ცირეკიძე

ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი, ქ. N19ა

ქვის დამამუშავებელი საწარმოს

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი : შპს „ელსჰაუსი“

(ს/კ 412756334)

დირექტორი: ზ.კვაბზირიძე.

ტელ: 577-74-77-33



დამკვეთი: ი/მ მირზა ცირეკიძე

(ს/კ 41001017134)

ტელ: 579 15 49 49

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ, ცხრილი N1.....	4
3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პორცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ცხრილი N 2,.....	5-8
4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება, წყალმომარაგება, წყალარინება -----	8-9
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდეები.....	10-11
6 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის რაოდენობის ანგარიში.....	11-14
7. საწარმოს ნედლეულით მომარაგება -----	15
8. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება სააქმროს ფუნქციონირების პროცესში	15-17
9, ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე -----	17-20
10. ხმაურის ზემოქმედება.....	17-20
11. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე.....	20-23
12 ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	20-21
13. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე	21-24
14. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	21-22
15 კუმულაციური ზემოქმედება.....	21-22
16. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე -----	22
17. დადგენილი საქმიანობის თავსებადობა ჭრატენიან და დაცულ ტერიტორებთან -----	22-23
18 და ნ ა რ თ ი.....	23
დანართი1. ამონაწერი საჯარო და სამეწარმეო რეესტრიდან	
დანართი2. გენ-გეგმა, ტოპორუკა , ხელშეკრულება	
დანართი3. ფოტოილუსტრაცია	

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქ. ქუთაისის ახალგაზრდობის გამზირის ქ. N19ა-ში (ნაკვეთის საკდასტრო კოდი: 03.06.25.176) განთავსებული ი/მ მირზა ცირეკიძის (ს/კ41001017134) ქვის დამამუშავებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს.

ი/მ მირზა ცირეკიძე ქვის (ტეშენიტის) სახერხ საწარმოს ფლობს 2011 წლიდან, რომელიც სველი მეთოდით ქვის ხერხვის გამო დაქვემდებარებულია ტექნიკურ რეგლამენტს. აღნიშნული საწარმოს მომიჯნავედ, ჩრდილო-დასავლეთით, მისსავე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი 03.06.25.176) დაგეგმილი აქვს მშრალი მეთოდით, ქვის სამსხვრევი დანადგარის (ყბებიანი სამსხვრევის) მოწყობა და ქვის სველი წესით ხერხვის შედეგად წარმოქმნილი - ქვის ნატების მსხვრევა და სხვა და სხვა ფრაქციის ღორღის წარმოება, რეალიზაცია.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება - ქვის ნატების მსხვრევა - დახარისხება და აღნიშნული ტიპის ობიექტი შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტში და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა საწარმოს სკრინინგის ანგარიში.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ თუ, სამინისტრო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

2.პირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

ი/მ მირზა ცირეკიძის (ს/კ41001017134) ქვის სახერხი საწარმო მდებარეობს ქ. ქუთაისის ახალგაზრდობის გამზირის ქ. N19ა-ში (ნაკვეთის კოდია: 03.06.25.176), ყოფილი ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე. საწარმოო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 1375 კვ.მ-ს. საწარმოს ფუნქციონირება დაწყებული აქვს 2011 წლიდან. ტერიტორია წარმოადგენს ი/მ მირზა ცირეკიძის საკუთრებას. ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს ქვის (ტემენიტის) ხერხვას სველი მეთოდით და ტემენიტის ხერხვის შედეგად დარჩენილი ნატეხების სამსხვრევ დანადგარში მსხვრევა-დახარისხებას. განსახილველი მიწის ნაკვეთები მდებარეობს ქალაქის სამრეწველო ზონაში ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიის სამხრეთ მხარეს. ჩრდილოეთით უშუალოდ ესაზღვრება ყოფილი სატრაქტორო ქარხნის შენობა-ნაგებობები. ჩრდილო-აღმოსავლეთით თავდაცვის სამინისტროს ტერიტორია, კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ტერიტორიები. დასავლეთით - ესაზღვრება კაპიტალური შენობა-ნაგებობები, ტერიტორიაზე შემოსასვლელი გრუნტის გზა, ასევე რიონჰესის სადერივაციო არხი, ახალგაზრდობის გამზირი, სხვადასხვა საწარმოო ობიექტები (ავტოგასამართი, პურის საცხობი) და უახლოესი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც დაშორებულია ობიექტიდან 160 მ მანძილით

სამხრეთით -ცენტრალური საავტომობილო გზა და საფეხბურთო საწრთველი ბაზა, სამხრეთ აღმოსავლეთით - „ასოციაცია სოს ბავშვთა სოფელი“, უახლოესი წყლის ობიექტი, დასავლეთით არსებული რიონჰესის სადერივაციო არხი 200 მ-ით. ხოლო აღმოსავლეთით 900 მ-ში მდებარეობს მდ. წყალწითელა. (იხ. ორთო ფოტო).

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილი N 1-ში
ცხრილი N1

ობიექტის დასახელება	ი/მ მირზა ცირეკიძე
ობიექტის მისამართი	
ფაქტობრივი	ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზ. N19ა
იურიდიული	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. N19ა
საინდეფიკაციო კოდი	(ს/კ 41001017134)
GPSკოორდინატები(UTM WGS 1981კოორდინატთა სისტემა)	X-0311452, Y -4677998
ობიექტის ხელმძღვანელი	
გვარი,სახელი	მირზა ცირეკიძე (პ/ნ41001017134)
ტელეფონი	579 15 49 49
ელ.ფოსტა	Ltd.elshouse@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	160 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ქვის ხერხვა, მსხვრევა- დახარისხება სამშენებლო მასალებად
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ქვის ფილები და სხვა და სხვა ფრაქციის ღორღი
საპროექტო წარმადობა	80 000ტ/წელი ტემენიტის ქვის გადამუშავება
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	80 000ტ/წელი ტემენიტის ქვა, ქვის ნარჩენი 2000ტ/წელ,
საწვავის ხარჯი(სატრანსპორტო საშუალოების მიერ გამოყენებულის გარდა)	არ გამოიყენებს
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	240 დღე
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	8 სთ

საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	311452	4677998
2	311477	4677995
3	311472	4677941
4	311447	4677943

3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები

ი/მ მირზა ცირეკიძის ქვის დამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ. ქუთაისის ახალგაზრდობის გამზირის ქ. N19ა-ში. საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 1375 კვ.მ-ს. მიწის ნაკვეთი არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესები განთავსებული იქნება დახურულ ორ სართულიან შენობაში. შენობის სასარგებლო ფართი შეადგენს 3 069,93 კვ.მ.-ს, აქედან სარდაფი არის 1327,36 კვ.მ-ი, შენობის პირველი სართული-1331,36 კვ.მ-ი, (პირველი სართულის შიდა სივრცე ერთიანია, იგი პირობითად დაყოფილია ნედლეულის მომარაგების, პროდუქციის დასაწყობებისა და ტექნოლოგიურ უბნებად.) და მეორე სართული 411,21 კვ.მ.-ია.

შენობის სარდაფი (1327,36 კვ.მ) გამოყენებული იქნება ჩამდინარე წყლების მექანიკურ გამწმენდად (სალექარი).

ი/მ მირზა ცირეკიძე ქვის (ტეშენიტის) სახერხ საწარმოს ფლობს 2011 წლიდან, აღნიშნული საწარმოს მომიჯნავედ, ჩრდილო-დასავლეთით, მისსავე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი 03.06.25.176), (GPS: X-311454, Y-4677998) დაწყებული აქვს ქვის სამსხვრევი დანადგარის მოწყობა და დაგეგმილი აქვს ტეშენიტის (სველი) მეთოდით ხერხვის შედეგად წარმოქმნილი ნატეხების სამსხვრევ დანადგარში (ყბებიანი სამსხვრევი) მსხვრევა-დახარისხება და სხვა და სხვა ფრაქციის ღორღის წარმოება.

ტექნოლოგიური ციკლში წარმოდგენილი იქნება ორ ხაზი: ქვის (ტეშენიტის) ხერხვა სველი მეთოდით და ტეშენიტის ხერხვის შედეგად დარჩენილი ნატეხების სამსხვრევ დანადგარში მსხვრევა-დახარისხებას.

ქვის (ტეშენიტის) სველი წესით ხერხვის ხაზი შედგებოდა შემდეგი სახის დანადგარებისაგან :

- ქვის საჭრელი დაზგა 1600 მმ - იანი დიამეტრის ხერხით - 1 ც
- ქვის საჭრელი მრგვალხელხრა 1800მმ-იანი დიამეტრის ხერხი - 9 ც
- ქვის ჩამოსაგანი ჩარხი - 1 ცალი
- საპრიალებელი დაზგა -5 ცალი
- რეისმუსი 1 ც
- ხელის დისკოიანი სახეხი - 2 ც
- შედურების აპარატი -1ც
-

ქვის ხერხვის დანადგარენი მოწყობილია კაპიტალურ (სამეურნეო დანიშნულების სასაწყობე) შენობა-ნაგებობაში. შენობა არის ორ სართულიანი, სახერხი დანადგარები დამონტაჟებულია პირველ სართულზე, მისი ფართობი შეადგენს 1331,36 კვ.მ-ს. ტექნოლოგიური პროცესი - ქვის ხერხვა და ფორმირება მიმდინარეობს დახურულ შენობაში.

აღნიშნულ შენობას ასევე აქვს სარდაფი ზემირკვლის დონეზე. სარდაფის კედლები არის ბეტონის და მისი ფართობი შეადგენს 1327,36 კვ.მ-ს. სარდაფი ორგანყოფილებიანია და ასრულებს მექანიკური სალექარის ფუნქციას. სალექარის მოცულობა არის 11 946,24 კუბ.მ (სიგრძე 44,2მ x სიგანე 30,031მ x სიმაღლე 9 მ). თითოეული გაანყოფილების მოცულობა არის 5 973,12 კუბ.მ .

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად: საწარმოში ნედლეული ტემენიტის ქვა (ლოდები) შემოიზიდება თვითმცლელების მეშვეობით და განთავსდება ნედლეულის ბაქანზე შენობის გადახურუნ ნაწილში. ტელფერის საშუალებით ბაქნიდან დასახერხი ქვა (ლოდი) საჭირო ზომის გათვალისწინებთ მიეწოდება ქვის სახერხ დანადგარებს, სადაც ხდება მათი ფორმირება და სასურველ ზომებზე დახერხვა. საბოლოო სახეს პროდუქცია იღებს ქვის ჩამოსაგან დანადგარებზე. პროცესი მიმდინარეობს სველი მეთოდით. ამოხერხილი ფილებისა და ბლოკების გაპრიალება ხდება საპრიალებელ დაზგებზე. ტექნოლოგიური პროცესი სველია. წყლის მოხმარება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. მოხმარებული წყლის შეკრება ხდება საამქროში არსებული არხებით და მიეწოდება საწარმოო შენობის სარდაფში მოწყობილ ორგანყოფილებიან სალექარს, საიდანაც წყალი ტუმბოს საშუალებით ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის ცვლილება ითვალისწინებს ქვის ხერხვის შედეგად დარჩენილი ნატეხების მსხვრევა-დახარისხებას სამსხვრევ დიანადგარში და სხვადასხვა ფრაქციის (06მმ, 0-10მმ, 0-15მმ) ღორღის წარმოებას.

ქვის (ტემენიტის) მსხვრევა- დახარისხებისათვის გამოყენებული იქნება:

ყბებიანი მსხვრევანა, დამხარისხებელი მბრუნავი საცერი, ასევე ნედლეულის და პროდუქციის ღია საწყობი.

საწარმოში ხორციელდება 80 000 ტონა/წელ ტემენიტის ქვის სველი მეთოდით დახერხვა და სხვადასხვა ზომის ქვის ფილების დამზადება.

საწარმოში ნედლეული (ტემენიტის ქვა) შემოიზიდება ავტოთვითმცლელების საშუალებით და იყრება საწარმოო შენობაში სასაწყობო მოედანზე. ნედლეულის შესყიდვას ახდენს კომპანია შპს „ტემენიტი“-სგან.

ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საჭირო ვადიოტექნოლოგია არსებულ საავტომობილო და საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზას, რომლის მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კომპანია.

საწარმოს ფუნქციონირებისას (ქვის ხერხვის დროს) წარმოემქნება - ტემენიტის (სველი) მეთოდით ხერხვის შედეგად დარჩენილი ქვის ნატეხები, რომლის მსხვრევა დახარისხება დაგეგმილია სამსხვევ დაანადგარში - ყბებიან სამსხვრეველაში. აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ დამონტაჟებული აქვს ყბებიანი სამსხვრევე-დამხარისხებელი დაანადგარი მსხვრევა განხორციელდება მშრალი მეთოდით.

ქვის სველი ხერხვის დროს წარმოემქნილი ნატეხები საწყობდება შენობის გარეთ, ღია საწყობზე, საიდანაც (ნარჩენი - ქვის ნატეხები) ყბებიან სამსხვრევეს მიეწოდება ხელის ნიჩბის საშუალებით. (ყბებიან სამსხვრევეს არ გააჩნია მიმღები ბუნკერი) სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის დახარისხება სამ ფრაქციად (06მმ, 0-10მმ, 0-15მმ). ცხაურიდან ჩამოყრილი შესაბამისი ფრაქციის ღორღი ხელის ნიჩბით იყრება ტომრებში და საწყობდება სათავსოში რეალიზაციამდე.

ცხაურზე დარჩენილი მსხვილი ზომის ქვა უბრუნდება სამსხვრევე დაანადგარს. დამსხვრევის შემდეგ კი ისევ ცხაურს და ეს პროცესი მეორდება უწყვეტლივ.

საწარმოს წელიწადში გათვალისწინებული აქვს 2000ტ/წელ ინერტული ძასალის წარმოება. საწარმო წელიწადში მუშაობს 240 დღე, 8 სთ-იანი გრაფიკით. საამქროში დასაქმებულია სამი ადამიანი (კაცი).

აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის დასამზადებლად საწარმოს წელიწადში ესაჭიროება ნედლეული - 2 000ტ რაოდენობის ტემენიტის ქვის ნატეხები - ნარჩენი.

სამსხვრევი დაანადგარის საპროექტო წარმადობა შეადგენს 20მ³/სთ-ში, წელიწადში საწარმოს სამუშაო ფონდის გათვალისწინებით (დღეში 8 საათიანი და წელიწადში 240 დღიანი სამუშაო რეჟიმით) შეუძლია დაახლოებით 38 400 მ³/წელ (107 520ტ/წელ) ქვის ნარჩენის დამსხვრევა და სამი სახეობის (06მმ, 0-10მმ, 0-15მმ) ფრაქციის ქვიშა-ხრეშის წარმოება.

ფაქტიურად საწარმო წელიწადში გადაამუშავებს მხოლოდ 2000ტ/წელ ტემენიტის ქვის ნარჩენს.

საწარმოში საჭირო ნედლეულის ტემენიტის ქვის შემოტანა ხორციელდება ავტოთვიმცლელეებით და იყრება საწარმოს შენობაში, ნედლეულის სასაწყობე ბაქანზე, საიდანაც ტელფერის საშუალებით მიეწოდება ქვის სახერხ დაანადგარებს, სადაც ხდება

მათი ფორმირება და დახერხვა სასურველ ზომებზე. ხერხვა მიმდინარეობს სველი მეთოდით. ხერხვის დროს საჭირო წყლით მომარაგება ხორციელდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების კომპანიის ქსელიდან. ქვის დამუშავებისას გამოყენებულია წყალმომარაგების წრიული სისტემა. ხერხვის დროს წარმოქნილი საწარმო წყალი არხის საშუალებით ჩაედინება სალექარში. ასევე ატმოსფერული ნალექების წყლის შეკრებაც ხდება შენობის სარდაფში.

ქვის დამუშავების პროცესში გამოიყენება ენერგო რესურსები (ელ. ენერგია, ბუნებრივი და თხევადი აირი), რომელსაც საწარმო მიიღებს არსებული ქსელებიდან. ტექნოლოგიური პროცესების შედეგად დაგეგმილია სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების ფილების წარმოება. საწარმოს პროდუქციას წარმოედგენს ქვაფენილი, მოსაპირკეთებელი (გაპრიალებული) ფილა, ბორდიური, ღორღი, ქვის შლამი.

ჩამდინარე წყლის სალექარის ექსპლუატაციის შედეგად წარმოიქმნება შლამი (ბილის მთის ზომის ნაწილაკები, ქვის ფხვნილი), რომელიც გამოიყენება სამშენებლო მასალების წარმოებაში, ბეტონის ხსნარზე დასამატებლად. შლამების გაუწყლოება მოხდება სალექარის

მიმდებარედ, შლამის ბაქანზე. გაუწყლოების შემდეგ რეალიზდება სამშენებლო ბლოკის მწარმოებლებზე.

4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება, წყალმომარაგება, წყალარინება

საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე. საწარმო ცენტრალურ ავტომაგისტრალს (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) უკავშირდება დაახლოებით 100 მ სიგრძის გრუნტის გზით.

პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით. საჭიროების შემთხვევაში მოხდება გზის მორწყვა.

ტეშენიტის ქვის ლიცენზირებული კარიერიდან (შპს „ტეშენიტი“-სგან ს/კ 421278922) მანძილი ი/მ მირზა ცირეკიძის საწარმომდე შეადგენს 30კმ-ს. კარიერიდან საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება საწარმომდე მისასვლელი გრუნტის გზა.

საწარმოს ძირითადი ნედლეულია ტეშენიტის ლოდები, რომელიც მოიპოვება სოფ. ჟონეთისა და ოფურჩხეთის ტერიტორიაზე. საპროექტო წარმადობის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში საწარმოში გადამუშავდება 80 000 ტ-მდე (28 571,42კუბ.მ) ტეშენიტის ლოდი, რომელიც შემოიზიდება უახლოესი ლიცენზირებული კარიერიდან.

საწარმოში დამონტაჟებული მოწყობილობების მუშაობისათვის აუცილებელია ენერგორესურსი, რომელიც მოწოდებული იქნება ენერგოპროჯორჯიას უახლოესი ქვესადგურიდან, ხელშეკრულების საფუძველზე. ადამიანური რესურსები მოძიებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობიდან. სხვა რესურსს საწარმო არ იყენებს.

საწარმოს ძირითად პროდუქციას წარმოადგენს ტემენიტის სხვადასხვა ზომის ფილა. დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად შესაძლებელია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ფილების დამზადება.

ასევე ქვის ხერხვის შედეგად წარმოქმნილი ნატეხების მსხვრევა დახარისხება და ღოდის წარმოება.

ქვის ხერხვის პროცესში წარმოიქმნება ქვის ჩამონაჭრელები, წლის განმავლობაში საწარმოს წარმოემქნება 3000 მ³-ის (8400ტ) ოდენობით ქვის ნატეხები-რომლის შემდგომი გადამუშავების (მსხვრევა-დახარისხება) მიზნით დაგეგმილია საწარმოს მომიჯნავედ, ჩრდილო-დასავლეთით, მისსავე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი 03.06.25.176), (GPS: X-311454, Y-4677998) მოწყობილი სამსხვრევი დანადგარის ექსპლუატაცია და სხვა და სხვა ფრაქციის ღოდის წარმოება.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ქვის ხერხვა-გაპრიალებას მიმდინარეობს წყლის ჭავლის თანხლებით, ამდენად წყალი საწარმოსათვის მნიშვნელოვანი ნედლეულია. ტექნიკური და სასმელი წყლის მიწოდება ხდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი შეიკრიბება წყალშემკრები არხებით და მიეწოდება საწარმოო შენობის სარდაფში მოწყობილ ორგანოფილებიან სალექარს. სალექარში დაწმენდილი წყალი ტუმბოს საშუალებით გადაიტუმბება სუფთა წყლის ავზში, საიდანაც თვითდინებით მიეწოდება ტექნოლოგიურ დანადგარებს (ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემით). სალექარის მოცულობა შეადგენს სალექარის მოცულობა არის 11 946,24 კუბ.მ (სიგრძე 44,2მ x სიგანე 30,031მ x სიმაღლე 9 მ), თითოეული გაანყოფილების მოცულობა არის 5 973,12 კუბ.მ.

სალექარის ექსპლუატაციის შედეგად წარმოიქმნება შლამი (ქვის მცირე ზომის ნაწილაკები, ქვის ფხვნილი) წლის განმავლობაში დაახლოებით 3000ტ/წელ ოდენობით. საჭიროების დროს სალექარიდან ამოდებული შლამი გამოიყენება სამშენებლო მასალების წარმოებაში, ბეტონის ხსნარზე დასამატებლად. შლამების გა4ც უწყლოება მოხდება შენობის პირველ სართულზე მოწყობილ შლამის ბაქანზე, გაუწყლოების შემდეგ რეალიზდება სამშენებლო ბლოკის მწარმოებლებზე.

საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არსებობს ცენტრალური საკანალიზაციო ქსელი, შესაბამისად არსებულ შენობას მოწყობილი აქვს სველი წერტილი.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ჩამდინარე წყლების (საწარმოო და სამეურნეო-ფეკალური წყლები) ბუნებრივი წყლის ობიექტში ჩაშვება არ ხდება.

5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები

როგორც წინა პარაგრაფებში იყო აღნიშნული, ქვის ხერხვა ხორციელდება სველი მეთოდით. 2014 წლის 6 იანვარის „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის № 42 დადგენილების მუხლი 4¹. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც არ ექვემდებარება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობებისთვის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიში არ წარმოებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი ხორციელდება ერთ საწარმოო ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ სხვა საქმიანობებთან ერთობლივად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ბ) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობასთან ერთად ხორციელდება იგივე საქმიანობები მშრალი მეთოდით;

ამის გათვალისწინებით არ გვიმსჯელია ქვის სველი მეთოდით ხერხვის დროს ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამინისტროს მოთხოვნის გამო დამატებით მოვახდინეთ გაფრქვევების გაანგარიშება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435 დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტის 93-ე დანართის თანახმად ქვის მშრალი მეთოდით დამუშავებისას წარმოქმნილი მტვრის წამური და წლიური რაოდენობა იანგარიშება ფორმულებით:

$$M_{\text{წამური}} = 0,108 \times 10^{-4} \times b \times v \times H \times m \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{წლიური}} = 0,648 \times 10^{-6} \times b \times L \times H \times m \text{ ტ/წელი}$$

სადაც b - განახერხის სიგანე, მმ;

v - მიწოდების სიჩქარე, მმ/წთ;

H - დასამუშავებელი მასალის სისქე, მმ;

L - წელიწადში განახერხების ჯამური სიგრძე, მ/წელი;

m - დასამუშავებელი მასალის სიმკვრივე, გ/სმ³.

ქვის სველი მეთოდით დამუშავებისას ზემოაღნიშნულ ფორმულებში გათვალისწინებულ უნდა იქნას გაფრქვევის შემასწორებელი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0,01-ის.

რაც შეეხება საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის ცვლილებას, რაც ითვალისწინებს ქვის ხერხვის შედეგად წარმოქმნილი ნატეხების მსხვერვე-დახარისხებას სამსხვერვე დიანადგარში და სხვადასხვა ფრაქციის (06მმ, 0-10მმ, 0-15მმ) ღორღის წარმოებას აღნიშნული საქმიანობის შედეგად ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში ინერტული მასალის არაორგანული მტვერის გამოყოფას.

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა: არაორგანული მტვერი, აზოტის დიოქსიდი და ნახშირჟანგი, ნახშიროროჟანგი, შედუღების აეროზოლი და მანგანუმის დიოქსიდი.

ამ ნივთიერებების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში N 2.

ცხრილი 2.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2908	ინერტული მასალის მტვერი	0,5	0,15	3
0301	აზოტის დიოქსიდი	0,2	0,04	2
0337	ნახშირჟანგი	5,0	3,0	4
0336	ნახშიროროჟანგი	5,0	3,0	4
0115	შედუღების აეროზოლი	0,5	-	2
0143	მანგანუმის დიოქსიდი	0,01	0,001	2

სველი მეთოდით ხერხვა ხორციელდება საწარმოში განთავსებულ შემდეგი სახის დანადგარებზე ცხრილი N3

- ქვის საჭრელი დაზგა 1600 მმ - იანი დიამეტრის ხერხით - 1 ც
- ქვის საჭრელი მრგვალხელხრა 1800მმ-იანი დიამეტრის ხერხი - 9 ც
- ქვის ჩამოსაგანი ჩარხი - 1 ცალი
- საპრიალებელი დაზგა -5 ცალი
- რეისმუსი 1 ც

N	დასახელება	გამოყოფის წყაროს ნომერი
1	ქვის საჭრელი დაზგა d=1600მმ	500
2	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	501
3	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	502
4	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	503
5	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	504
6	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	505
7	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	506
8	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	507
9	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	508
10	მრგვალხერხა ხერხი d=1800მმ	509
11	ჩამოსაგანი ხერხი d = 800მმ	510
12	საპრიალებელი დაზგა	511
13	საპრიალებელი დაზგა	512
14	საპრიალებელი დაზგა	513
15	საპრიალებელი დაზგა	514
16	საპრიალებელი დაზგა	515
17	რეისმუსი d=600	516
18	თერმული დამუშავება	517
19	ქვის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარი	518
20	დისკოიანი სახეხი	519
21	დისკოიანი სახეხი	520
22	შედურების აპარატი	521

6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“ აღნიშნული

დოკუმენტის 93-ე დანართის თანახმად ქვის მშრალი მეთოდით დამუშავებისას წარმოქმნილი მტვრის წამური და წლიური რაოდენობა იანგარიშება

ფორმულებით:

$$M_{\text{წამური}} = 0,108 \times 10^{-4} \times b \times v \times H \times m \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{წლიური}} = 0,648 \times 10^{-6} \times b \times L \times H \times m \text{ ტ/წელ}$$

სადაც b - განახერხის სიგანე, მმ;

v - მიწოდების სიჩქარე, მმ/წთ;

H - დასამუშავებელი მასალის სისქე, მმ;

L - წელიწადში განახერხების ჯამური სიგრძე, მ/წელი;

m - დასამუშავებელი მასალის სიმკვრივე, გ/სმ³.

ქვის სველი მეთოდით დამუშავებისას ზემოაღნიშნულ ფორმულებში გათვალისწინებულ უნდა იქნას გაფრქვევის შემასწორებელი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0,01-ის.

მტვრის გაფრქვევის გაანგარიშება წარმოებს თითოეული ხერხისათვის. შედეგები მოცემულია ცხრილში N4.

ცხრილი N4

გამოყოფის წყაროს ნომერი	წამური ინტენსივობა							წლიური ინტენსივობა						
	b	v	H	m	k	m	b	L	H	m	k	G		
500	0.108x10 ⁻⁴	10	30	620	2.8	0.01	0.0558	0.648x10 ⁻⁶	10	20000	620	2.8	0.01	3.348
501		10	30	110	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
502		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
503		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
504		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
505		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
506		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
507		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
508		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
509		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	15000	1100	2.8	0.01	2.9925
510		10	30	300	2.8	0.01	0.027		10	1000	300	2.8	0.01	0.054
516		10	30	250	2.8	0.01	0.0225		10	2000	250	2.8	0.01	0.09

ფილების გაპრიალებისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა (გამოყოფის N511- N515

წყაროები) იანგარიშება შემდეგი პირობებით:

ერთ საპრიალებელ დანადგარზე წელიწადში განხორციელდება 1 000 მ² ფილის გაპრიალება, რა დროსაც გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება

$$G = 0,001 \times 1000 \times 2,8 \times 0,01 = 0,028 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის წამური ინტენსიობა იქნება

$$M = 0,028 \times 10^6 / 240 \times 8 \times 3600 = 0,00405 \text{ გ/წელ}$$

ანალოგიური იქნება N512, 513, 514, 515 გამოყოფის წყაროებისთვისაც

ფილების ზედაპირების თერმული დამუშავებისათვის გამოიყენება წელიწადში (N517 გამოყოფის წყარო) 10 000მ³ ბუნებრივი აირი.

ბუნებრივი აირის წვის პროცესში წარმოიქმნება აზოტის ოქსიდები, ნახშირბადის ოქსიდები და ნახშიროჟანგი. მათი რაოდენობა შეადგენს:

აზოტის ოქსიდები, რომლების გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1000მ³ ბუნებრივი აირის წვისას 0,0036 ტონაა. აქედან გამომდინარე წლიური ინტენსივობა იქნება:

$$G_{\text{აზ.ოქს}}=0,0036 \times 10\ 000/10^3=0,036 \text{ ტ/წელ};$$

წამური ინტენსიობა:

$$G=0,036 \times 10^6/240 \times 24 \times 3600=0,00173 \text{ გ/წმ};$$

ნახშირბადის ოქსიდის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1000მ³ ბუნებრივი აირის წვისას 0,0089 ტონაა. ამის გათვალისწინებით:

$$G_{\text{ნახ.}}=0,0089 \times 10\ 000/10^3=0,089 \text{ ტ/წ}$$

წამური ინტენსიობა:

$$M=0,089 \times 10^6/240 \times 24 \times 3600=0,0042 \text{ გ/წ}$$

ნახშიროჟანგის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 2ტ-ის ტოლია 1000მ³ აირის წვისას, მაშინ:

$$G_{\text{ნახირ}}=2 \times 10\ 000/10^3=20 \text{ ტ/წ}$$

წამური ინტენსიობა: $M=20 \times 10^6/240 \times 24 \times 3600=0,96 \text{ გ/წ}$

საწარმოში მიმდინარეობს ინერტული მასალის მშრალი მეთოდით პირველადი მსხვრევა და მიიღება სამი ფრაქციის ღორღი.

ინერტული მასალის (ტემენიტის ქვის ნატეხების) ღია საწყობზე (N518) განთავსებისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}}=k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6/3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

K₁ - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K₂ - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K₃ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K₄ - გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K₅ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K₇ - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

K₉ - შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვითმცლელელებიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2, 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 01, სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1-ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტია;

G - წარმადობა ტ/სთ-ში და მოცემულ შემთხვევაში არის 1,04 ტ/სთ

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდის კვლევაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,01; K_2 - 0,003; K_3 - 1,0; K_4 - 1,0; K_5 - 1,0; K_7 - 0,1; K_9 - 1; B - 0,4 \quad G - 1,04 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,01 \times 0,003 \times 1,0 \times 1,0 \times 1,0 \times 0,1 \times 1 \times 0,4 \times 1,04 \times 10^6 / 3600 = 0,00034 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,00034 \times 1920 \times 3600 / 10^6 = 0,0023 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში ტუმენიტის ღია საყოფიდან საწყობიდან (N519)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

$K_3 = 1,0$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 1,0$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,4$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,1$ - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობა 1 კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ

$f = 15 \text{ მ}^2$ - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,0 \times 1,0 \times 1,4 \times 0,1 \times 0,002 \times 15 = 0,0042 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0042 \times 1920 \times 3600 / 10^6 = 0,029 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევა მზრუნავი საცერიდან (N520) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც, აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდის კვლევაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,02; K_2 - 0,04; K_3 - 1,0; K_4 - 1,0; K_5 - 1,0; K_7 - 1; K_9 - 0,4; B - 0,4 \quad G - 1,04 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 0,02 \times 0,04 \times 1,0 \times 1,0 \times 1,0 \times 1 \times 0,4 \times 0,4 \times 10^6 / 3600 = 0,0035 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0035 \times 1920 \times 3600 / 10^6 = 0,024 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (N521 წყარო) გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{\text{ბტ}} = G_{\text{საშ.}} \cdot x_{\text{გ}} \cdot N_{\text{ტ}} \cdot x_{\text{კ}} / 10^3$$

სადაც $G_{\text{საშ.}}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 1.04ტ/სთ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ მასალის მშრალი პირველადი მსხვრევისას შეადგენს 0,07კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (240დღე/წელ X8სთ = 1920სთ)

$$G_{\text{ბტვ}} = 1.04 \times 0,07 / 10^3 = 0.0000728 \text{ ტ/წელ}$$
$$M_{\text{ბტვ}} = 0.0000728 \times 10^6 / 1920 \times 3600 = 0.0000105 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვევა მიღებული პროდუქციის (ღორღის) ტომრებში ჩაყრისას (521)

მიღებული პროდუქციის საწყობიდან ღორღის ტომრებში ჩაყრისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{ბტვ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდულად მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,04; K_2 - 0,02; K_3 - 1,0; K_4 - 1,0; K_5 - 1,0; K_7 - 1,; K_9 - 0,4; B - 0,4 \quad G - 1.04 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{ბტვ}} = 0,04 \times 0,02 \times 1,0 \times 1,0 \times 1,0 \times 0,1 \times 1 \times 0,4 \times 0,4 \times 10^6 / 3600 = 0,000133 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ბტვ}} = 0,000133 \times 1920 \times 3600 / 10^6 = 0.00091 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიშინ დისკოიანი სახეხიდან (N522-523 გამოყოფის წყარო) დისკოიანი სახეხის მუშაობისას მტვრის წარმოქმნის ინტენსიობა შეადგენს 0,88კგ/სთ შესაბამისად წლის განმავლობაში გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება:

$$G = 0.88 \times 240 / 10^3 = 0.211 \text{ ტ/წ}$$

წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0.211 \times 10^6 / 240 \times 3600 = 0.244 \text{ გ/წმ}$$

ანალოგიური იქნება ანგარიში N524 წყაროდან

გაფრქვევა შედუღების სამუშაოებისას (N525 წყაროდან) - შედუღების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა მტვერი (შედუღების აეროზოლი სახით). აეროზოლის ხვედრითი რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 20გ/კგ-ზე, მათ შორის მანგანუმის და მისი ჟანგეულების -2/კგ-ზე შედუღებისას გამოყენებული

(დახარჯული) ელექტროდების მასაზე გაანგარიშებით. შედუღების უბანზე წლიურად გამოიყენება 130კგ ელექტროდი. შესაბამისად ელექტროდის ხარჯვისას გამოყოფილი შედუღების აეროზოლის რაოდენობა იქნება

$$G=130 \times 18 / 10^6 = 0.00234 \text{ ტ/წ}$$

წამური ინტენსივობა იქნება:

$$M=0.00234 \times 10^6 / 240 \times 3600 = 0.0027 \text{ გ/წმ}$$

ელექტროდის ხარჯვისას გამოყოფილი მანგანუმის დიოქსიდის რაოდენობა იქნება:

$$G=130 \times 2 / 10^6 = 0.00026 \text{ ტ/წ}$$

წამური ინტენსივობა იქნება:

$$M=0.00026 \times 10^6 / 240 \times 3600 = 0.00030 \text{ გ/წმ}$$

7. საწარმოს ნედლეულით მომარაგების და საბოლოო პროდუქციის ტრანსპორტირების (მისასვლელი გზები, შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა და გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები) შესახებ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა ძირითადად მოიცავს ადგილობრივ გზებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სახელმწიფო მნიშვნელობის და ასევე შიდა გზები. ცენტრალური საავტომობილო გზიდან (ახალგაზრდობის გამზირი) საწარმომდე მისასვლელი გრუნტის გზა 100 მ -ია. გზის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ საჭიროებს დამატებით ახალი მისასვლელი და შიდა გზების მოწყობას. საწარმოში ნედლეულის შემოზიდვა და პროდუქციის გატანა მოხდება არსებული საერთო სარგებლობის გზებით. აქედან გამომდინარე ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე რაიმე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად, საწარმოში ნედლეული შემოიზიდება თვითმცლელების მეშვეობით და ჩამოიცლება შესაბამის ნედლეულის საწყობზე. საწარმოს სატრანსპორტო ოპერაციების შესასრულებლად - ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისას ძირითადად გამოყენებული იქნება სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები. ოპერირების პროცესში უახლოესი დასახლებული პუნქტებზე გამავალი გზები გამოყენებული არ იქნება. შესაბამისად ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის ზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობის შეწუხების რისკი მინიმალურია. ასევე საწარმოს სატრანსპორტო ოპერაციები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში (დღეში დაახლოებით 5 რეისი). ადგილობრივი გზების დაზიანების თვალსაზრით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საწარმოს ოპერირების საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების შესრულება გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს გზაზე მოძრაობის ინტენსივობაზე, თუმცა საწარმო სისტემატიურად იზრუნებს ადგილობრივი გზების ტექნიკურ მდგომარეობაზე, რომლებიც გამოყენებული იქნება სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებისათვის.

8. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაზიანებები; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა.

საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებია: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების (მტვრის) გამოყოფა დაზიანების სტაციონალური წყაროდან, ხმაური და ვიბრაცია, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ზემოქმედება ლანდშაფტზე.

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაზიანებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმო ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

საწარმოს ფუნქციონირებით არ არის მოსალოდნელი ლანშაფტზე და ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

საწარმოს ინფრასტრუქტურა განთავსებულია ვაკე ადგილზე. ტერიტორია მთლიანად დაფარულია ინერტული მასალით და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. საპროექტო ტერიტორია მოხრეშილია და მცენარეული საფარი პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

ტრანსპორტის გადაადგილება განხორციელდება მხოლოდ არსებული მოწყობილი გზებით, შესაბამისად ახალი გზის მოწყობა ან/და მცენარეული საფარის მოხსნა საჭიროებას არ წარმოადგენს. სატრანსპორტო ნაკადზე იმოქმედებს საწარმოს ტერიტორიიდან ნედლეულის - ქვიშა-ლორღის გატანა/რეალიზაცია, რაც საწარმოს სრული საპროექტო სიმძლავრით მუშაობის შემთხვევაში ერთ სამუშაო დღეში შეადგენს 3-4 რეისის განხორციელებას. პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საწარმო გამოიყენებს საავტომობილო და საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზას, რომლის მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კომპანია. ასევე ტრანსპორტირება განხორციელდება საფარებით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით. საჭიროების შემთხვევაში ამტვერების თავიდან ასაცილებლად მოხდება გრუნტის გზის მორწყვა.

საწარმოს ფუნქციონირებისას ზემოქმედება ხორციელდება ატმოსფერულ ჰაერზე ინერტული მასალის სამსხვრევი საამქროს მუშაობის შედეგად. ატმოსფერულ ჰაერში

გაიფრქვევა მხოლოდ ინერტული მასალის მტვერი, რომელიც არ მიეკუთვნება საშიშ ან ტოქსიკურ ნივთიერებას, ამავე დროს საწარმოს სიახლოვეს არ არის საცხოვრებელი სახლი და დაწესებულებები.

საწარმოს ფუნქციონირებისას ხმაურის გამომწვევი დანადგარი არის სამსხვრევი, რომელსაც აქვს გარკვეული ხმაური, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 0.16 კმ-ით, ამ მანძილზე ხმაურის გავლენა იქნება უმნიშვნელო.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის დროს ნარჩენები არ წარმოიქმნება, ნედლეული უნარჩენოდ გარდაიქმნება პროდუქციად.

ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია დანადგარების შეკეთების დროს და მუშა მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო ოთახში.

მოწყობილობების შეკეთების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები, ზეთით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები ან სათადარიგო ნაწილები. ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელია მისი არასათანადო მართვით, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გარემოში დაყრით და გაფანტვით.

სახიფათო ნარჩენებიდან წელიწადში მოსალოდნელია დაახლოებით 150 კგ ნარჩენი ზეთის წარმოქმნა (სამსხვრევეს გააჩნიათ ზეთის რეზერვუარები სადაც ზეთის გამოცვლა ხდება წელიწადში ერთხელ). ნამუშევარი ზეთების დროებითი შენახვის მიზნით მოეწყობა სახიფათო ნარჩენების საცავი, სადაც განთავსდება ლითონის კასრებში მოთავსებული ნარჩენი ზეთი. შემდგომი მართვის მიზნით გადაცემული იქნება სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებზე.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად დაიდგმება სპეციალური კონტეინერები, ხოლო მათი გატანა მოხდება ადგილობრივი ქალაქის კომუნალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

9. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ქვის მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი. მტვერის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროს წარმოადგენს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი.

ანგარიშიდან ჩანს, რომ საწარმოს ტექნოლოგიური პროცესებიდან გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა ინტენსივობა იმდენად მცირეა, რომ ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს გარემოზე. ცალკეული წყაროებიდან გაფრქვევების ანგარიშისა და მონაცემების შეჯამებით ნათლად ჩანს, რომ გამოყოფილი ნივთიერებების რაოდენობამ არ შეიძლება გადააჭარბოს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას როგორც უშუალო საწარმოს ტერიტორიაზე, ასევე უახლოეს მოსახლესთან (სამსხვრევი დანადგარიდან დაშორება 160 მ მანძილზე).

10. ხმაურის ზემოქმედება, ხმაურის დონეების გაანგარიშება

საწარმოს მუშაობის პროცესს თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარმექანიზმები (ხერხები, საპრიალებელი დანაგარები, სამსხვრევი, ცხაური,) აქედან ყველაზე მეტი ხმაურის გამომწვევი მოყობილობაა ხერხი და ყბებიანი სამსხვრევი, ლიტერატურული მონაცემებით მათი ხმაურის დონე შეადგენს 85-95 დბ-ს. დანადგარების მიერ შექმნილი ბგერითი წნევის დონეები (L) განისაზღვრება ფორმულით:

$$L=L_p-20lgr-\beta_r/1000-8\text{დბ} \quad (2.2)$$

სადაც:L

L_p არის მოწყობილობების მიერ გამოწვეული ბგერითი წნევის დონე, დბ. საწარმოს პირობებისათვის ის შეადგენს 85 დბ-ს.

r _ მანძილია წყაროდან მოცემულ ადგილამდე - მ

β_r _ ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდეა დბ/კმ და მოცემულია ქვემოთ ცხრილ 5-ში

ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდე

ცხრილი 5

ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
ხმისდახშობა დბ/კმ	0	0.7	1.5	3	6	12	24	48

ფორმულა 2.2.-ში მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ r – მანძილისათვის მიიღება ბგერითი სიმძლავრის დონეები იხ. ცხრილ 5.2.3-ში .

ცხრილი 5.1

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრიული	ბგერითი წნევის დონეები დეციბალებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	10	20	50	180	200	250	300	350	400
63	32.00	25.98	18.02	6.89	5.98	4.04	2.46	1.12	-0.04
125	31.99	25.97	17.99	6.77	5.84	3.87	2.25	0.87	-0.32
250	31.99	25.95	17.95	6.62	5.68	3.67	2.01	0.59	-0.64
500	31.97	25.92	17.87	6.35	5.38	3.29	1.56	0.07	-1.24
1000	31.94	25.86	17.72	5.81	4.78	2.54	0.66	-0.98	-2.44
2000	31.88	25.74	17.42	4.73	3.58	1.04	-1.14	0.00	0.00
4000	31.76	25.50	16.82	2.57	1.18	0.00	0.00	0.00	0.00
8000	31.52	25.02	15.62	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

მაგრამ იმის გათვალისწინებით რომ საწარმო დაშორებულია საცხოვრებელი სახლიდან 160მ მანძილზე, ამ მანძილზე ხმაურის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

მოცემულ შემთხვევაში საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის სტაციონარულ წყაროს წარმოადგენს ერთი ყბებიანი სამსხვრეველა, რომელიც უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 160 მ-ით. უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ატმოსფეროში ბგერის მილევადობის შედეგად ხმაურის დონე შეადგენს 30,25 დბა-ს. რაც არ აღემატება დასაშვებ ნორმას.

ტექნიკური სახელმძღვანელოს მიხედვით, ხმის მილევადობა განისაზღვრება ფორმულით: $L_{pd2} = L_{pd1} + 20 \times \log(d1/d2)$, სადაც: L_{pd2} -ხმაურის დონე რეცეპტორთან; L_{pd1} -ხმაურის დონე $d1$ მანძილზე; $d1, d2$ - მანძილი საწყის წერტილში და რეცეპტორამდე; აღნიშნული ფორმულის გამოყენებით უახლოეს მოსახლესთან, საწარმოდან გამოწვეული ხმაური იქნება: 30,5 დბ. და ხმაურის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

საწარმოს მუშაობა გათვალისწინებულია დღის საათებში. დღის პერიოდისათვის საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში აკუსტიკური ნორმები საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ს მიხედვით შეადგენს 35 დბა-ს.თუ ჩავთვლით, რომ საწარმოსა და დასახლებულ პუნქტს შორის ხმაურის სხვა წყარო არ არსებობს, 160 მ-თ დაცილებულ საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები იანგარიშება ფორმულით: $L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r/1000 - 10lg\Omega$, დბა სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 85 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე; Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi / 2$ – სამ წიბოიან კუთხეში; β – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

$$L=85-15lg160+10 \lg 2-10,5 \times 450/1000-10 \lg 12,56 =85-15 \times 2,944+10 \times 0,3-10,5 \times 0,50-10 \times 1,099=30,25 \text{ დბა}$$

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საწარმოს ხმაური დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს. ამასთან დასახლებული პუნქტი მდებარეობს საწარმოს განთავსების დონიდან 35 მ

სიმაღლეზე და დასახლებული პუნქტის მიმართულებით გაშენებულია ხემცენარეები, ამასთანავე საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღისით, ასევე თუ გავითვალისწინებთ, რომ საცხოვრებელი სახლის კაპიტალურ კედლებს აქვთ ხმაურის შთანთქმის უნარი, ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М.1985. გვერდი 173; 224) ღია გარემოში კაპიტალური კედლის ეფექტურობა შეადგენს 10-15დბ (A), შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში საპროექტო საწარმოს გავლენა მოსალოდნელი არ არის, მით უმეტეს ვერ გადააჭარბებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა). საწარმოში დასაქმებულებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

11. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე,

საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ

საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით. ტერიტორია ნაწილობრივ მოშანდაკებულია, რის გამოც ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის. როგორც აღინიშნა, საწარმოში გამორიცხულია საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ამდენად ზედამიტრულ წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი სანიტარული კვანძი (საპირფარეშო და ხელსაბანი) და წარმოქმნილი სამეურნეო/ფეკალური წყლების ჩადინება ხდება ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში.

საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყლები ჩაიყონება გრუნტში. ნალექების დროს საწარმოო მოედანზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები არ იქნება დაბინძურებული შეწონილი ნაწილაკებით, ვინაიდან სამსხვრევი დამხარისხებელი დანადარის განთავსების ადგილი ნაწილობრივ გადახურულია, მბრუნავი ცხავი და ცხავიდან ჩამოყრილი მზარ ღორღი დაცულია ატმოსფერული ნალექებისაგან. ასევე მზა პროდუქცია ტომრებში ჩაყრილი საწყობდება საცავში, აქედან გამოდინარე არ მოხდება სანიაღვრე წყლების დაბინძურება.

ამდენად, საწარმოს წყალსარგებლობის მაჩვენებლების გათვალისწინებით წყლის რესურსებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

12. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყენებული ნედლეული მთლიანად, უნარჩენოდ გადადის პროდუქციაში, ამდენად ობიექტზე საწარმოო ნარჩენის წარმოქმნას ადგილი არ ექნება. შესაძლებელია საწარმოში წარმოქმნას მუშა-მოსამსახურის (სამი ადამიანი) საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რომელიც შეგროვდება კონტეინერში და გადაეცემა მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამსახურს. ტერიტორიის დაბინძურება მოსალოდნელია საწარმოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვისა და ავტოტრანსპორტიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში. საწარმოში უზრუნველყოფილი იქნება ტერიტორიის დაცვა ნარჩენებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებისაგან.

ტექნოლოგიური დანადგარების შეკეთება/რემონტი საჭიროების შემთხვევაში ადგილზე არ მოხდება, შესაბამისად სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

ასევე ნედლეულის საწარმოო მოედანზე შემოტანა/გატანის დროს მკაცრად იქნება გაკონტროლებული სატვირთო ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობა. რაც მინიმუმამდე შეამცირებს გრუნტის დაბინძურების რისკს.

13. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმო ბუნებრივი ლანდშაფტის სახეცვლილებას არ მოახდენს, რადგან:

- საწარმოო ფართი, რომელზეც საწარმოა განთავსებული, ათვისებული და სახეშეცვლილია;
- ობიექტის მოსაწყობად საჭირო არ არის შენობა-ნაგებობის მშენებლობა;
- საჭირო არ არის ხე-მცენარეების მოჭრა;
- საწარმოს მიმდებარედ რაიმე კონსერვაციული ღირებულების ეგზემპლარები არ არის განთავსებული;

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საწარმოს ფუნქციონირება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მცენარეულ საფარზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არ შეინიშნება ცხოველთა მრავალფეროვნება და გამორიცხულია მათზე უარყოფითი გავლენა.

14. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ნებისმიერი საწარმოს და სამუშაო ადგილის შექმნას დადებით წვლილი შეაქვს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. ასეა განსახილველ შემთხვევაშიც.

საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (სამი ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმე სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

ამასთან საამქრო ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსის მთლიანად, უნარჩენოდ გამოყენებას, რაც შეამცირებს გარემოზე უარყოფით გავლენას.

15. საწარმოს ფუნქციონირებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე საქმიანობების განხორციელებით მოსალოდნელი მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება. კერძოდ, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვა და სხვა რეცეპტორებზე.

ამდენად, არსებული საწარმოებისა და დაგეგმილი საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად, ასევე საწარმოებს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

16. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე


საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და დანადგარების არასწორი მართვა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება, სახიფათო შედეგებით. აღნიშნულის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული იქნება შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა.

17. დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობა ჭარბტენიან, ტყით მჭიდროდ დაფარულ, დაცულ ტერიტორიებთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან

საქმიანობის განხორციელების ადგილი დიდი მანძილით არის დაშორებული ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან, ტყით მჭიდროდ დაფარულ, მჭიდროდ დასახლებულ უბნებთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ 500 მ -ის რადიუსში არ ფიქსირდება აღნიშნული ობიექტები, რაც დასტურება მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით.

შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში აღნიშნულ ტერიტორიებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს და რაიმე სახის ნეგატიური ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

დანართი



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 261646
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11035721
ამონაწერის მომზადების თარიღი: 09/03/2011 12:25:35

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: მირზა ცირეკიძე
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ., №19ა
ძველი საიდენტიფიკაციო კოდი: 112872543
საიდენტიფიკაციო კოდი: 41001017134
სამართლებრივი ფორმა: ინდივიდუალური მეწარმე
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 19/04/2006
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 021/6602
მარეგისტრირებელი ორგანო: საოლქო საგადასახადო ინსპექცია ქ.ქუთაისში
საგადასახადო ინსპექცია: ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგ-დო ინსპექცია)

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება:
<http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022009257 - 10/01/2022 15:00:07

მომზადების თარიღი
10/01/2022 18:48:24

საკუთრების განყოფილება

მონა ქუთაისი	სექტორი კახიანოური	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 1375.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: სხვა ფართი: შენობა N1 სარდაფი 1327.36 კვ.მ I სართული 1331.36 კვ.მ და II სართული 411.21 კვ.მ
03	06	25	176	

მისამართი: ქალაქი ქუთაისი, გამზირი ახალგაზრდობა, N 19ა

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011120474 , თარიღი 21/03/2011 16:30:42
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/05/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საქართველოს კანონი "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ"
- განკარგულება NA10035128-012/024 , დამოწმების თარიღი: 14/04/2011 , იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიურო

მესაკუთრეები:

მირზა ცირეკიძე, P/N: 41001017134

მესაკუთრე:

მირზა ცირეკიძე

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:


რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომღვეწო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge





#	x	y
1	311452.69	4677998.56
2	311477.55	4677995.96
3	311472.03	4677941.23
4	311447.17	4677943.83

ქვის სამსხვრევი: X 311454. Y 4677998.
 მუხრბა : X 311472. Y 4677971.

WGS 84 / UTM zone 38 N

1:500




03.06.25.176






საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო ბეჭედი

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: **03 06 25 176**
ბანცხალების რეგისტრაციის ნომერი: **88201120474**
მიწის ნაკვეთის ფართობი: **1375 კვ.მ.**
დანიშნულება: **არასასოფლო-სამეურნეო**
კატეგორია:
მოგზაურობის თარიღი: **22.03.11**



გუნ-გეგმა




1. ქვის საჭრელი დაზგა $d=1600\text{მმ}$, 2. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 3. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 4. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 5. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 6. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 7. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 8. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 9. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 10. მრგვალობერბა ხერბი $d=1800\text{მმ}$, 11. ჩამოსაგანი ხერბი $d=800\text{მმ}$, 12. საპრიალობელი დაზგა, 13. საპრიალობელი დაზგა, 14. საპრიალობელი დაზგა, 15. საპრიალობელი დაზგა, 16. საპრიალობელი დაზგა, 17. რეისბუხი $d=600$, 18. თერბული დამუშავება, 19. ქვის სამსხერვე დამხარისბებელი დანადგარი, 20. დისკოიანი სახები, 21. დისკოიანი სახები, 22. შედურბის აპრატრი, 23. კანგბადის ბალონი.

შიგა აჯამებითი ნახაზი


მონაშრომთი: ქუთაისის ახალგაზრდობის ბაზა, № 19 ა ს.პ. 03.06.25.176
შენიშვნები: გორჯა იტრაქიძე


შეფურც 01

სარდაბნი



1-20 სართული






<p>ობიექტის დანიშნულება : არასასოფლო-სამეურნეო უზღუდა საკუთრება</p>	<p>ი.8 "ბელა მენტალიტი" მისამართი: მუთაისი რუსთაველის ბაზზირი № 21 ტელ 899 150621</p>
<p>შენიშვნა 01 სასარგებლო ფართი 3069,93 კვ.მ აბოღან სარდავის ფართი 1327,36 კვ.მ 1-ლი სართულის ფართი 1331,36 კვ.მ მე-2 სართულის ფართი 411,21 კვ.მ</p>	<p>ბ. მენტალიტი</p>
<p>მასშტაბი: 1 : 200</p>	<p>დაიცვ. ირი 05. 01. 2022 წ</p>

შენიშნული/შენიშნული ანაზახარისხი შიშა. № 19 ა. ს.ა. 01.06.23.176
შენიშნული/შენიშნული 00443020

შიშა 01

სახარისხი



სახარისხი



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო
ნებართვების სამსახური
KUTAISI CITY MUNICIPALITY
SPATIAL PLANNING, MONUMENT PROTECTION AND CONSTRUCTION
PERMITS OFFICE



წერილის ნომერი: 10-4422279375
თარიღი: 06/10/2022

ადრესატი: შპს ელსპაუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412756334
მისამართი: ქუთაისი, ასათიანის ქ. 98

ბატონო ზვიად,

თქვენი N 10/4422278367-44 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ N 03.06.25.176 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ რომ ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალურ გეგმის დამუშავების პროცესი და აღნიშნულ ტერიტორია მოიაზრება როგორც სამშენებლო ზონა - ინდუსტრიული ზონა(იზ); სამშენებლო ქვეზონა- საწარმოო ზონა (იზ-1) , რომლის ქალაქგეგმარებითი პარამეტრებია კ1- საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე; კ2- საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე და კ3 - 0,2.

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად:

1. სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მაგნე საწარმოო პროცესები.

2. ნებადართული სახეობებია:

- ა) საწარმოო ობიექტი;
- ბ) ღია და დახურული საწყობი;
- გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს სხვა არამაგნე მრეწველობის ობიექტები. პატივისცემით,

მამუკა კუბლაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0685511467
---	-----------------------	----------------

2	15/08/2022 თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)
---	--

3	15:54:01 დრო (საათი, წუთი)
---	-------------------------------

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ტემნიტი	421278922
---	-------------	-----------

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება, ან სახელი და საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	მირზა ცირევიძე	41001017134
---	----------------	-------------

მყიდველის (მიმღების) დასახელება, ან სახელი და საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით
---	-----------------------	-----------------

7	წყალტუბო სოფ. ოფურჩხეთი ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)
---	--

8	ქუთაისი ახალგაზრდობის პროსპექტი #19 ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)
---	--

9	საავტომობილო ტრანსპორტირების სახე
---	--------------------------------------

10	SF099FS სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი
----	--

X	მისაზმელი
---	-----------

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	60003005777 მურადი ხვადაგიანი
----	--	----------------------------------

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0
----	---	--------------

თანა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ტემნიტის ბლოკი	001	მ ³	5.0000	40.0000	200.0000

*** საბეჭდი ფორმის ზოლო გვერდი ***

13	200.0000 - ორასი ლარი და წული თეთრი მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)
----	---

14	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
----	--

15	მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
----	--

16	ხელმოწერა
----	-----------

17	ხელმოწერა
----	-----------

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	02/09/2022	16:32:00 დრო (საათი, წუთი)
----	---	------------	-------------------------------

19	
----	--

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 13/10/2022, 13:37:27

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსს
ბატონ ხვიჩა ჟიშკარიანს

ი/მ მირზა ცირეკიძის (ს/კ41001017134)

მის. ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N19

ტელ: 596 09 80 00

განცხადება

/დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე/

საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლების მიერ 2022 წლის 09 სექტემბერს შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N 073037.

გთხოვრებ მომცეთ მითითებულ საქმესთან დაკავშირებით ნაწარმოები დოკუმენტებიდან - საჯარო რეესტრთან თქვენი უწყების მიმოწერების ასლები, კერძოდ ქვის სამსხვრევი დანადგარის განთავსების ადგილმდებარეობის კოორდინატების გადამოწმებასთან დაკავშირებით.

განმცხადებელი :  მირზა ცირეკიძე

რევიზორი ს. ჯიბუ

6.12.2022

№ 91000



**სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
დასავლეთის რეგიონული სამმართველო**



DES 8 22 00091284



07/12/2022

ი/მ მირზა ცირეკიძე (პ/ნ 41001017134)
(ქვის სახერხი საწარმო)
მობ: 579 15 49 49

ფაქტ. მის: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. N 19^ა

ბატონო მირზა,

თქვენი 2022 წლის 06 დეკემბრის განცხადების შესაბამისად, რომელიც შეეხებოდა თქვენს მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N073037 ოქმთან დაკავშირებული საქმისწარმოების მასალებიდან საჯარო რეესტრთან მიმოწერის ასლების მოწოდებას, გიგზავნით შესაბამის მასალებს.

დანართი: 5 ფურცელზე

პატივისცემით,

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
დასავლეთის რეგიონული სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ჟიშკარიანი ხვიჩა



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011784053128322

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405

147082

05 / სექტემბერი / 2022 წ.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს გარემოსდაცვითი
მედამხედველობის დეპარტამენტის
დასავლეთის რეგიონული სამმართველოს
უფროსს ხვინა ჟიშკარიანს

ბატონო ხვინა,

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 30 აგვისტოს წარმოდგენილი თქვენი №DES 3 22 00063019 მომართვის (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერია № 237064/17) პასუხად გაცნობებთ, რომ ელექტრონული საკადასტრო რუკის მონაცემებით თქვენ მიერ მომართვაზე თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული №1, №2 კოორდინატი (წერტილი) მოქცეულია უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი: 03.06.25.176, მისამართი: ქალაქი ქუთაისი, გამზირი ახალგაზრდობა, №19ა, მესაკუთრე: მირზა ცირეკიძე (პირადი ნომერი 41001017134)) საზღვრებში (იხ. დანართი).

აღნიშნული ინფორმაცია ასახავს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებულ მონაცემებს უძრავი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ზოლო დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული უძრავი ნივთის ტყის ფონდის, პოტენციური ელექტროსადგურის, რეკრეაციული ზონის, წიაღით სარგებლობის, საბადოს და სხვ. ტერიტორიაზე შესაძლო მდებარეობის შესახებ იხილეთ თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული საკადასტრო რუკის მონაცემები არ იძლევა იმ ტერიტორიის, სადაც მოქცეულია მომართვაში მითითებული კოორდინატები, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების მქონე უფლებარეგისტრირებულ უძრავ ნივთებზე ინფორმაციის სრულყოფილად მოძიების საშუალებას.

ამასთანავე გაცნობებთ, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი, რომლის საკადასტრო მონაცემები არ არის რეგისტრირებული სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში შედგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის საფუძველზე და არ ასახავს მიწის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციის, ადგილმდებარეობის, მასზე განთავსებული ნაგებობების, მათ შორის, ხაზოვანი ნაგებობების, აგრეთვე სერვიტუტით ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტობრივად გამოსახულ ზუსტ ინფორმაციას.

დანიშნულებისა და კატეგორიის შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული საარქივო მასალების, კერძოდ ყოფილი საზოგადოებრივი მეურნეობების მიწათსარგებლობის გეგმების მიხედვით, აღნიშნული ნაკვეთის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით წერილზე დატანილი 15-ნიშნა ნომრით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.napr.gov.ge ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით.

დანართი: 01 (ერთი) გვერდი.

ქ.ძეგლი
მ.ბ.ბ. № 59553
0/8 მონტაჟი (30მპმ)
1. სასახლეო დასახლება; 2. ნაპირული ნაგებობა.



სახლმწიფი ტყე

3114544677998

1. სასახლეო დასახლება -


3114724677974

2. ნაპირული ნაგებობა

1:3,000

4678200 4678150 4678100 4678050 4678000 4677950 4677900 4677850 4677800 4677750

311800 311750 311700 311650 311600 311550 311500 311450 311400 311350 311300 311250 311200 311150 311100 311050



საჯარო რეგისტრის აგენტობა
საქართველოს სახელმწიფო რეგისტრის ეროვნული სააგენტო


ზედღება რეგისტრირებულ მონაცემთან

ბანცხალების ნომერი:

237064/17

მომზადების თარიღი:

31.08.2022



აქტი

ქ. ქუთაისი

05.08.2022.

სადგურის მოედანი № 3 ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ინსპექტორმა გიორგი გვენეტაძემ და მესამე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ინსპექტორმა ლევანი ნატრიაშვილმა აღნიშნული აქტი შევადგინეთ შემდეგზე:

2022 წლის 05 აგვისტოს ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი № 19 ა - ში განვახორციელეთ ი/მ მირზა ცირეკიძის კუთვნილი ქვის სახერხი საწარმოს დათვალიერება/შესწავლა. ტერიტორიის დათვალიერებას ესწრებოდა და მონაწილეობა მიიღო ი/მ მირზა ცირეკიძემ (პ/ნ 41001017134; მობ: 579 15 49 49) რომელსაც ჩამოერთვა წერილობითი ახსნა განმარტება. ი/მ მირზა ცირეკიძის წერილობითი ახსნა განმარტებით აღნიშნულ საწარმოში იგი ოპერირებს, სამეწარმეო საქმიანობას ანხორციელებს 2011 წლიდან, თუმცა საწარმო უფრო ადრეულ წლებშია მოწყობილი. ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია ერთსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან. ქვის ხერხვა დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს „ტემენიტის“ (გრანიტის) ფილების დახერხვა გაპრიალებას სველი მეთოდით, წყლის ჭავლის გამოყენებით. შენობის პირველ განყოფილებაში განთავსებულია ერთი ერთეული ცირკული ხერხის მოქმედი დანადგარი და ერთი ერთეული ქვის გასაპრიალებელი უმოქმედო, უფუნქციო დანადგარი, რომელიც გადახსნილია ელ.სისტემიდან. შენობის მეორე განყოფილებაში განთავსებულია შვიდი ერთეული სახერხი დაზგა, სხვადასხვა დიამეტრის ცირკული ხერხით, აქედან მოქმედია და ფუნქციონირებს ოთხი ერთეული დანადგარი (სამი ერთეული დანადგარი არის უფუნქციო); ასევე ამავე განყოფილებაში (საამქროში) განთავსებულია ორი ერთეული ეგრედწოდებული ქვის თავგადასაჭრელი ცირკული ხერხის დანადგარი რომლებიც მოქმედია და ფუნქციონირებს; ასევე მეორე განყოფილებაში განთავსებულია ორი ერთეული ქვის მოქმედი გასაპრიალებელი დანადგარი. ცირკულ ხერხებზე ხდება დასახერხი (ნედლეულის) ქვის სიგრძეზე და სიგანეზე ფორმირება, დახერხილი ქვა მიეწოდება გასაპრიალებელ დანადგარს ზედაპირული დამუშავებისათვის. შენობაშივე ასევე დამონტაჟებულია ქვის ასაწევი და გადასაადგილებელი მოწყობილობა ეგრედწოდებული „ტელფერი“-ს სამი ერთეული კონსტრუქცია, სამივე ტელფერი მოქმედია. ი/მ მირზა ცირეკიძის წერილობითი ახსნა განმარტებით შენობაში დამონტაჟებულ, არსებულ აგრეგატებთან მიმართებაში არანაირი ტექნიკური ცვლილება არ განხორციელებულა და გამოიყენებს იმ სახით როგორც თავდაპირველად იქნა მოწყობილი. ქვის ხერხვასა და გაპრიალების პროცესში საწარმო გამოიყენებს წვიმის წყალს, კერძოდ შენობის სახურავიდან მილის

მეშვეობით წვიმის წყალი ჩამოედინება შენობის ქვემოთ, ნიადაგის სიღრმეში არსებულ კაპიტალურ ბეტონირებულ წყალშემკრებ რეზერვუარში სადაც გროვდება წვიმის წყალი და ელ. ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება საწარმოს შენობაში დამონტაჟებულ სახერს და გასაპრიალებელ მოქმედ დანადგარებს. დათვალიერების დროს მიმდინარეობდა მხოლოდ ქვის ხერხვა გაპრიალების პროცესი, მუშაობის პროცესში გამოყენებული, ნახმარი წყალი ღია არხის გავლით ჩაედინება აღნიშნულ ბეტონირებულ რეზერვუარშივე საიდანაც რამდენადმე დაწმენდილი წყალი კვლავ მიეწოდება ქვის სახერხ და გასაპრიალებელ დანადგარებს ბრუნვითი სისტემით, (წარმოქმნილი შლამები კი ილექება და რჩება ბეტონის რეზერვუარშივე). საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების შედეგად წარმოქმნილი 1 მ³-მდე ქვის ნაგვერდულები დაყრილია საწარმოს ტერიტორიაზე შემდეგ gps კოორდინატებზე: 1) X 0311472 Y 4677971. საწარმოს ტერიტორიაზე, შენობის გარეთ (X 0311454 Y 4677998 gps კოორდინატზე) ასევე განთავსებულია ქვის მშრალი დამუშავების სამსხვრევი დანადგარი (ე.წ. „დრაბილკა“) რომელიც შედგება ყბებიანი სამსხვრეველასა და ცილინდრული დახრილი მბრუნავი ცხრილისაგან. დასამსხვრევი ქვა თავსდება სამსხვრეველას (მცირე მოცულობის) ბუნკერში, დამტვრევის შემდეგ ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება მბრუნავ ცილინდრულ ცხავს, რომლის მეშვეობით ხდება დამსხვრეული ღორღის სამი ფრაქციის გამოყოფა. ცხაურის ქვეშ მოწყობილია ფრაქციული ღორღის ხაროები. ი/მ მირზა ცირეკიძის წერილობითი ახსნა განმარტებით მის მიერ მხოლოდ აღნიშნული დანადგარი დამონტაჟდა, მოაწყო და პერიოდულად ფუნქციონირებს 2022 წლის პირველ ნახევრიდან. (საამქროს დათვალიერების დროს აღნიშნული აგრეგატით არ ხორციელდებოდა ქვის მსხვრევა, დამუშავება დახარისხება). საწარმოს ტერიტორიაზე დასაწყობებულია დასამსხვრევი ქვა; დასახერხი და გასაპრიალებელი ქვა ნედლეულის სახით გარკვეული რაოდენობა და ასევე დასაწყობებულია გარკვეული რაოდენობის წარმოებული პროდუქციაც. ობიექტს მიეწოდება ელექტრო ენერჯია. საყოფაცხოვრებო დანიშნულებით საწარმოში გამოიყენებენ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, ქ. ქუთაისის წყალმომარაგების ქსელიდან (სისტემიდან) მიწოდებულ წყალს. (ი/მ მირზა ცირეკიძის წერილობითი ახსნა განმარტებით მას შენობაში არსებული დანადგარების შეცვლა არ განუხორციელებია, მხოლოდ დაამატა ქვის მშრალი დამუშავების ერთი ერთეული ზემოდ აღნიშნული სამსხვრევი დანადგარი რომელიც განთავსებულია შენობის გარეთ). ი/მ მირზა ცირეკიძის განმარტებით იგი ნედლეულს (ქვას) ყიდულობს სხვადასხვა მომწოდებელი კომპანიებისაგან. ი/მ მირზა ცირეკიძე საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ (ინფორმაციას) დოკუმენტაციას წარმოადგენს წერილობითი მიმართვის საფუძველზე. გადაღებული იქნა ტერიტორიის დათვალიერების ამსახველი ფოტო სურათები.

გიორგი გვენეტაძე

ლევანი ნატრიაშვილი









